გუშინ ამთელს საბჭოთა კავშირში შრომის ჰეშმარიტი დღესასწაული იყო:
ჩატარდა კომუნისტური შაბათობა

გალეგსა და სკვერებში

გუშინ საბჭოთა ქვეყნის ყოველ კუთხეში დიდი შრომითი ენთუზიაზმი სუფევდა. ჩატარდა კომუნისტური შაბათობა, რომელიც კარგა ხანია ტრადიციად იქცა. გუშინდელ შაბათობაზე, ამ დამკვრელური შრომის დღესასწაულში ათასობით თბილისელმა მიიღო მონაწილეობა. საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს ახალი პროდუქციის შექმნაში, საწარმოთა ტერიტორიებისა და ქუჩების კეთილმოწყობაში, გამწვანებაში. შაბათობის აქტიური მონაწილენი იყვნენ დედაქალაქის სტუდენტებიც. ჩვენი ფოტოკორესპონდენტის მ. ზარბარიანის ფოტოზე აღბეჭდილი არიან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც დილაადრიან გავიდნენ ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე ნარგავების მოსავლელად, ბაღებისა და სკვერების კეთილმოსაწყობად. ფიზკულტურელებმა ამ დღეს მრავალი ნარგავი შემატეს დედაქალაქს.

შაბათობის საჩსოვარი

ბათუმი, 15 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). კომუნისტურ შაბათობაში აქტიურად ჩაებნენ აჭარის ფიზკულტურული ორგანიზაციები. ასე იყო ბათუმშიც. განსაკუთრებით გულმოდგინედ იშრომეს ბამბუკის ფაბრიკის მუშა-ძოსამსახურეებმა. ამ საწარმოს ფიზკულტურელებს დღემდე მარტივი ტიპის სპორტული ბაზებიც არ ჰქონდათ. შაბათობაზე ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ დირექტორი ა. ჯინჭარაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ი. ძნელაძე, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ოსიძე, ფიზკულტურის მეთოდისტი ლ. ბერულიძე. ამიერიდან ფაბრიკის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, სახტომი ორმოები, ტყორცნის სექტორები.

ახალ ბაზებზე პირველი ამხანაგური შეხვედრები გაიმართა.

შაბათობაში თავი ისახელეს მუშებმა ეთერ გიორგაძემ, თამარ ვერძაძემ, ქუჩუნა სიხარულიძემ, ნ. იბრაგიმ-ოღლიმ და სხვებმა.

ო. მურვანიძე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 75 (4585)

16 აპრილი, კვირა.

1972 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ალმაზრდელებმაც, ალსაზრდელებმაც...

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღებამ რუსთავის № 16 პროფტექნიკურ სასწავლებელში დიდი ინტერესი გამოიწვია. შეიქმნა ასაკობრივი ჯგუფები, "მოემზადნენ ნორმატივების ჩასაბარებლად და ამას წინათ მძლეოსნურ კროსში პირველი სტარტებიც შედგა. სტარტზე 275-მდე ახალგაზრდა გამოვიდა.

გოგონათა შორის 500-მეტრიან კროსში ყველაზე კარგი შედეგები აჩვენეს ნ. ბაჩაკაშვილმა, ლ. სამხარაძემ და ქ. მაჭარაშვილმა, ჭაბუკთა შორის 1000 მეტრზე რბენაში — კ. მოსიაშვილმა, ნ. რობიტაშვილმა და შ. კალატოზიშვილმა.

მოსწავლეებს არც პედაგოგები ჩამორჩენენ. მათ 1000-მეტრიან დისტანციაზე სცადეს ძალა.

* * *

სურათზე: 500 მეტრზე მორბენალი გოგონები დისტანციაზე.
რ. გაბრიჭიძის ტექსტი და ფოტო.

18 აპრილს

თბილისში, მსახიობის სახლის (ციროვის ქ. № 13) საკონცერტო დარბაზში შედგება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის საკითხებისადმი მიძღვნილი ფიზკულტურის რესპუბლიკური აქტივის კრება.

დღის წესრიგი:

„რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ამოცანები ახალი კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით" (მომხსენებელი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე).

დასაწყისი 11 ს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი

კარგი გადაწყვეტილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში გამოითქვა აზრი, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფიზკულტურელთა მეგობრული თამაშები ჩატარებულიყო. იდეა აზერბაიჯანისა და სომხეთის ფიზკულტურის კომიტეტებშიც მოიწონეს. მათ თბილისში გამოგზავნეს თავიანთი დელეგაციები, რომლებსაც აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ხ. მამედოვი და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. შაგინიანი ხელმძღვანელობდნენ.

სამი რესპუბლიკის წარმონადგენლებმა ითათბირეს, შეიმუშავეს თამაშების დებულება.

პარასკევს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში მოეწყო პრეს-კონფერენცია პრესის, „რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებისთვის. კონფერენციას ხელმძღვანელობდა საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. აქ იყვნენ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოსული სტუმრებიც. სამივე რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტების წარმომადგენლებმა პრეს-კონფერენციის მონაწილეების თანდასწრებით კიდევ ერთხელ გადასინჯეს დადგენილება, თამაშების დებულება, შეიტანეს მათში ზოგიერთი აუცილებლობით ნაკარნახევი ცვლილება და სახელმძღვანელოდ დაამტკიცეს.

აქვე ითქვა, რომ თამაშები ამიერიდან ტრადიციად იქცევა და ყოველწლიურად (გარდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების წლებისა) გაიმართება. წლევანდელი თამაშების პროგრამაში სპორტის 30 სახეობა შეიტანეს. ტურნირები ერთდროულად სამივე მოძმე რესპუბლიკაში 10-10 სახეობაში გაიმართება, ისე, რომ საერთო კომპლექსური გუნდური ჩათვლა არ იქნება.

ტურნირები რომ კიდევ უფრო საინტერესო იყოს, წლეულს სსრ კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკას, მოსკოვსა და ლენინგრადს მიიწვევენ, სპორტის იმ თოთო სახეობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელშიც მათ ძლიერი გუნდები ყავთ. მაგალითად, რსფსრ-დან იწვევენ კლასიკურ მოჭიდავეებს, უკრაინიდან — მძლეოსნებს, ბელორუსიიდან — მოფარიკავეებს, უზბეკეთიდან — მოკრივეებს, ყაზახეთიდან — წყალში ხტომელებს, ლიტვიდან — კალათბურთელებს, ლატვიიდან — მოჭადრაკეებს, ესტონეთიდან — აფრონსნებს, მოლდავეთიდან — სამბისტებს, ყირგიზეთიდან — მესტენდურეებს, თურქმენეთიდან — ველოსიპედისტებს (საგზატკეცილო), ტაჯიკეთიდან — ბიდარკებითა და ჯანოვეებით ნიჩბოსნებს, მოსკოვიდან — ტანმოვარჯიშეებს, ლენინგრადიდან — მოცურავეებს.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ფიზკულტურის კომიტეტებმა ითავეს, აგრეთვე, თამაშების მონაწილეებისთვის სამახსოვრო მედლების დამზადება.

პირველი თამაშები სექტემბერ-ნოემბერში გაიმართება.

უარი ეთქვას რასიზმს სპორტში

პროგრესულმა ძალებმა მიაღწიეს, რომ დევისის თასის მორიგ გათამაშებას ჩამოაშორეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელები, რომელთა ქვეყნის სპორტშიც აპარტეიდი მეფობს.

როგორც რეიტერის სააგენტო კომენტარებიდან იუწყება, ეს გადაწყვეტილება მიიღო ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ.

საბჭოთა ჩოგბურთელები, ჩათი კოლეგები სოციალისტური ქვეყნებიდან, აგრეთვე, ევროპელ სპორტსმენთა უმეტესობა თანმიმდევრულად იბრძოდნენ საერთაშორისო სარბიელიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენთა განდევნისთვის. 1972 წელს რასისტული სახელმწიფოს წარმომადგენლები მონაწილეობას ვერ მიიღებენ დევისის თასის გათამაშებაში. რა იქნება შემდეგ? ივლისში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესსა საბოლოო უარი უნდა უთხრას მათ, ვინც დისკრიმინაციის უღელქვეშ მოაქცია აფრიკის ძირითადი მოსახლეობის წარმომადგენლები. სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ საერთაშორისო ფედერაციაში შეიტანა წინადადება ამ ორგანიზაციიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გარიცხვის შესახებ.

საკვლევი ჟურნალისტიკა

ჩვენც ვეძებოთ ტალანტები

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი სახელმოხვეჭილი სამბისტია, რომლებიც დიდ სპორტში ქართული ჭიდაობიდან მოვიდნენ. ჩვენი ეროვნული საუნჯე ბაზას წარმოადგენს ჭიდაობის სხვა სახეობებისთვისაც, ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვეკითხოდეთ.

სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლები ეძებენ ტალანტებს. ეს მეტად სასიხარულო და სასარგებლო საქმეა. ქართულ ჭიდაობაშიც არიან დაფარული ტალანტები, რომლებიც გამოვლენას ელიან. ჩვენ ვავარჯიშებთ 7-8 წლის ბავშვებს. ისინი მთელის გულისყურით ეწაფებიან საყვარელ სპორტს, მაგრამ გადის წლები და ნორჩ ფალავნებს არა აქვთ საშუალება შეჯიბრებებში მიიღონ მონაწილეობა. რატომ? იმიტომ, რომ შესაბამისი წონა არა აქვთ და, თუ როგორმე მიაღწევს მას, უკვე ჩამოყალიბებულ, გამოცდილ სპორტსმენებთან უხდებათ ჭიდილი.

ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნება თუ ბავშვებისთვის უფრო დაბალ წონითს კატეგორიებს შემოვიღებთ. მაშინ შესაძლებლობა გვექნება 5-6 წლის ასაკის ბავშვებიც ჩავაბათ აქტიურ სპორტში. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ სპორტის სხვა სახეობებში (მაგალითად, ცურვაში) წვრთნას ადრეული ასაკიდან იწყებენ და უკვე სკოლაშივე არსებობს დაყოფა რამდენიმე ასაკობრივ კატეგორიად. ქართულ ჭიდაობაში კი ასე არაა.

რა გვიშლის ხელს, რომ ჩვენს საყვარელ სპორტშიც დავაწესოთ სამი ასაკობრივი ჯგუფის შეჯიბრებები? ეს ხომ უფრო გაზრდის ჭიდაობისადმი სიყვარულსა და ავტორიტეტს?

ზოგი ალბათ ფიქრობს, რომ სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს არ შეუძლია ავარჯიშოს ბავშვი ქართულ ჭიდაობაში. არ არის სწორი. ჭიდაობის წრეს გამოცდილი პედაგოგი მუდამ წარმატებით გაუძღვება, მით უმეტეს, თუ უმაღლესი ფიზკულტურული განათლება აქვს.

ჩვენ სამართლიანად ვცდილობთ ჩამორჩენილი სახეობების წამოწევას. ეს პატრიოტული საქმეა. მაგრამ არც ის სახეობები უნდა დავივიწყოთ, რომლებშიც უკვე წინა ვართ. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ზოგიერთ სკოლაში, სადაც ამის საშუალება არსებობს, ქართული ჭიდაობის სექციის მუშაობა სავალდებულოდ გავხადოთ.

ბავშვების ასაკობრივი დაყოფის უამრავი ვარიანტი არსებობს, მაგრამ ამ წერილის მიზანს სრულიადაც არ შეადგენს მათი აღნუსხვა. შემოგთავაზებთ მხოლოდ ერთ ვარიანტს, რომელიც, ჩემი აზრით, ძვალკუნთოვანი აპარატის ფუნქციონალური მონაცემების გათვალისწინებითაა შერჩეული. პირველ ასაკობრივ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ 11-12 წლის მოსწავლეები, მეორეს — 13-14, ხოლო მესამეს — 15-16 წლის ჭაბუკები.

შესაძლოა, ჩვენს წინადადებას რაიმე კონკრეტული ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ იგი ქართულ ჭიდაობას სარგებლობას რომ მოუტანს, ეჭვი არ გვეპარება.

ზ. იაგორაშვილი.

თელავის რაიონის სოფ. ნიფარეულის საბჭოთა მეურნეობასთან არსებული სპორტსკოლის მწვრთნელი.

კანონი კანონია

ფეხბურთი ბალეტი არ არის, მაგრამ... ექიმი — ? მოიტაცეს... ოქმი ჰუმანურობა თუ... ბაბილონის გოდოლი მონაგონი იქნებოდა კანონმდებელი ღაღადებს...

ფეხბურთი ბალეტი არ არის! — გაიძახიან სპორტის ამ სახეობის „თავგამოდებული“ გულშემატკივრები.

— ფეხბურთი ბალეტი არ არის, მაგრამ არც გლადიატორების ბრძოლა გახლავთ, — უპასუხებენ მათ „ზომიერი“ ქომაგები.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. მკითხველისათვის დღესავით ნათელი უნდა იყოს, რომელი მხარეა მართალი.

მოდით, ნუ დაველოდებით საზოგადოებრივ აზრს ამ საკითხზე. ფეხბურთი მართლაც არ არის გლადიატორების ბრძოლა, რის თაობაზეც ცოტა არ იყოს განსხვავებული შეხედულებისა არიან ზოგ-ზოზი მწვრთნელები და „რკინისფეხა“ ფეხბურთელები.

ერთი სიტყვით, შევთანხმდეთ: ფეხბურთი ჰუმანური სპორტია. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი კატეგორიული აზრი ხშირად საქმეს ვერ ეველის. გაზაფხულის დადგომისთანავე, როგორც კი სტადიონზე ბალახი ამოიწვერება, უხეშობასაც ეძლევა ასპარეზი. ფეხბურთელები ეცემიან მინდვრის ცენტრში, საჯარიმო მოედანზე და, ასე გასინჯეთ, თვით მრისხანე მსაჯის თვალწინაც კი. როგორც წესი, ასეთი ტრავმების მეტი წილი ისევ და ისევ იმ ფეხბურთელების „ნამოღვაწარია“, ვისი აზრითაც ფეხბურთი ბალეტი არ არის. შედარებით იშვიათად ფეხბურთელი თვითონაც „იმტვრევა“. ამ უპრეტენზიო სამედიცინო ექსკურსს სულაც არა აქვს დაკისრებული მეცნიერების აღნიშნულ დარგში რაიმე ახალი ფაქტის აღმოჩენა. ჩვენი მიზანია დავადგინოთ, რომ, ისევე როგორც ყველა დაშავებულ თუ დაავადებულ ადამიანს, ტრავმირებულ ფეხბურთელსაც სჭირდება სამედიცინო დახმარება (მნიშვნელობა არა აქვს, ექიმი იქნება დამხმარე, თუ მედიცინის და).

დიახ, სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად ვართ მომსწრენი საფეხბურთო მინდორზე დაშავებული სპორტსმენისა და თეთრხალათიანი მზრუნველი ექიმის „იძულებითი“ ურთიერთობისა.

გავბედავთ და წუთით მკითხველს ისევ ხანმოკლე სპორტულ-ისტორიულ ექსკურსს შევთავაზებთ. საფეხბურთო კოდექსში შავით თეთრზე წერია, რომ მსოფლიოში პირველ ოფიციალურ საფეხბურთო მატჩს ექიმიც დასწრებია. დასწრებია არა როგორც ჩვეულებრივი გულშემატკივარი, არამედ როგორც თავისი პროფესიული მოვალეობის შემსრულებელი. უკვე მაშინ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ თვით ყველაზე უნივერსალური მსაჯიც კი ვერ უზრუნველყოფდა იდეალურ წესრიგს და უიმედოდ დაშავებულ ფეხბურთელს თამაშის გაგრძელებას ვერ უბრძანებდა. დიახ, ასეთი ანბანური ჭეშმარიტებანი, რომლებსაც ერთი შეხედვით მტკიცება არ სჭირდება, არც ისე იშვიათად დავიწყებას ეძლევა. ამიტომ, რათა ჭეშმარიტება სადავო არ გახდეს და, რაც მთავარია, არავის დაავიწყდეს, საფეხბურთო კოდექსის შემოქმედმა თავის დროზე ამ კოდექსში წინდახედულად ჩაწერა: ყოველ მატჩს, ნებისმიერ გეოგრაფიულ განედზე, ნებისმიერ ამინდში, ნებისმიერი თანამდებობრივი პერსონის ჩარევის შემთხვევაშიც კი აუცილებლად სჭირდება ექიმი. თუ ოფიციალურ სპორტულ შეჯიბრებებს მასპინძელთა მიზეზით მედიცინის მსახური არ ეყოლება, მით უარესი მასპინძლებისთვის — მათ ყველა შემთხვევაში წაგება ჩაეთვლებათ.

დებულების ეს ერთ-ერთი საგულისხმო პუნქტი საყოველთაოდ მიღებული და აღიარებულია. ბოლოს და ბოლოს, იგი ადამიანის ჯანმრთელობას იცავს. ადამიანი კი, მოგეხსენებათ, ამაყად ეღერს. მაგრამ თურმე ზოგი მხოლოდ სიტყვიერად აღიარებს ზემოაღნიშნულ პუნქტს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაშინ კი...

მოქმედების ადგილი — ეშერის სტადიონი.

მოქმედი გმირები — სოხუმის „თამბაქოს კომბინატი“ და გაგრის „სპარტაკი“ (მასპინძელი — სოხუმის „თამბაქოს კომბინატი“). მსაჯი — მ. სიჭინავა.

ექიმი — ?

ეს კითხვის ნიშანი შემთხვევით არ დაგვისვამს. როგორც შემდეგ დარწმუნდებით, იგი ერთ-ერთ ცენტრალურ როლს ითამაშებს გაუთავებელ საფეხბურთო „ანტაგონიზმში“.

ეს მატჩი გაიმართა შარშან, 19 ოქტომბერს. როგორც მედიცინის და ამბობს, საშინელი სიცხე ყოფილა. მატჩი 15 წუთის დაგვიანებით დაწყებულა. მსაჯი სიჭინავა საკმაოდ კარგად ერკვევა შეჯიბრების დებულებაში და არც თავის თავს, არც სოხუმის „თამბაქოს კომბინატის“ მესვეურებს უფლება არ მისცა უექიმოდ დაეწყოთ თამაში. 15 წუთის შემდეგ გამოჩნდა მედიცინის და თ. ჩარაევა. თამაში დაიწყო და მერე გახურდა, რასაც სპორტული მოტივების გარდა ალბათ ოქტომბრის მზეც უწყობდა ხელს. აფხაზეთის ჩემპიონატის ეს ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა (21 წუთი იყო დარჩენილი), როცა დაშავდა გაგრელი ფეხბურთელი ლ. კეტია.

— არიქა, ექიმი! — ატყდა ჩოჩქოლი სტადიონზე.

— არიქა, მედიცინის და! — დაიძახეს ფეხბურთელებმა.

სტადიონზე არც ექიმი აღმოჩნდა, არც მედიცინის და. კეტია ამაოდ ელოდა თეთრხალათიან დამხმარეს. იდგნენ და ელოდნენ, უსაზღვრო იყო მათი ლოდინი. ელოდნენ 10 წუთს, ელოდნენ 20 წუთს, ელოდნენ ნახევარ საათს. ელოდნენ ტოხუმელები, ელოდნენ მსაჯი სიჭინავა და ფეხბურთელი კეტია. ექიმი კი არ ჩანდა.

გაიხსენეთ, რას ამბობს ასეთ უსიამოვნო ამბებზე საფეხბურთო კოდექსის კანონმდებელი... მსაჯმა სიჭინავამ, როგორც ირკვევა, კვლავ გამოავლინა კოდექსის ცოდნა და ნახევარსაათიანი უნაყოფო ლოდინის შემდეგ მატჩი შეწყვიტა, ხოლო მასპინძლებს სამართლიანად ჩაეთვალათ წაგება — ამ ფრაზას პირობითად ვიყენებთ, რადგანაც იგი მსაჯს არ შეუტანია მატჩის ოქმში. მიზეზი? დაგვერწმუნეთ, კალამს არც უნდა დაწეროს მიზეზი, იმდენად აბსურდული, კომიკური და, ბოლოს, აღმაშფოთებელია იგი. ის-ის იყო მსაჯი სიჭინავა, როგორც წესი და რიგია, ოქმის გაფორმებას აპირებდა, რომ მასთან ჯიქურ მიიჭრა სოხუმის „თამბაქოს კომბინატის“ წარმომადგენელი მ. ქვაცაბაია და მუხანათურად (სხვა სიტყვა ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება) გამოგლიჯა მსაჯს ხელიდან ოქმი. გამოგლიჯა და დაიკარგა, თითქოს მიწამ უყო პირიო. არის თუ არა ეს ფაქტი უნიკალური (ყველაზე ცუდი გაგებით) ფეხბურთის ჩემპიონატების ისტორიაში? მით უმეტეს, რომ ეს შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა გუნდის უფროსმა, რომელიც, ამავე დროს, სოხუმის თამბაქოს კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე გახლავთ(!).

ამ მატჩსა და მის დრამატულ პერიპეტიებს დიდი რეზონანსი ჰქონდა. მასზე იმსჯელა ათობით სპორტულმა და საზოგადოებრივმა ინსტანციამ, განიხილა ყველანაირმა თათბირმა და სხდომამ და ა. შ. საბოლოო სიტყვა უნდა ეთქვა ფეხბურთის რესპუბლიკურ ფედერაციას და, რა თქმა უნდა, ავტორიტეტულად განაცხადა კიდეც... თავს არ შეგაწყენთ ნაირნაირი დადგენილებების კითხვით. შემოვიფარგლებით ჩვენს გაზეთში შარშან გამოქვეყნებული ერთი წერილის ნაწყვეტით. აი, ისიც: „...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა წაგება ჩაეთვალოს სოხუმის რაიონის თამბაქოს კომბინატის გუნდს, რომელმაც მატჩი სამედიცინო მომსახურებით ვერ უზრუნველყო. აფხაზეთის ჩემპიონობა სამართლიანად დაისაკუთრა გაგრის „სპარტაკმა“.

რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ გაჭიანურებული საფეხბურთო კონფლიქტი დასრულებულად ჩათვალა. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ ყურად არ იღო რესპუბლიკური ფედერაციის სამართლიანი გადაწყვეტილება, გააუქმა მატჩის შედეგი, მიჩქმალა ქვაცაბაიას ხულიგნური საქციელი... ყოველივე ამის შემდეგ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას გამოაქვს დასკვნა, რომ მატჩი ხელახლა გადათამაშდეს(?!). მატჩი არ შემდგარა. გაგრის „სპარტაკს“ წაგება ჩაეთვალა (!), ხოლო თამბაქოს კომბინატის გუნდი აფხაზეთის ჩემპიონად გამოცხადდა. რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ისტორიაა! მით უმეტეს, რომ აფხაზეთის ჩემპიონატში გამარჯვებისთვის სოხუმის თამბაქოს კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეს მ. ქვაცაბაიას წლევანდელი წლის დამდეგს საზეიმო ვითარებაში გადაეცა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის სიგელი. კურიოზი თუ გნებავთ, სწორედ ეს არის.

ერთი წუთით თავი დავანებოთ ქვაცაბაიას ულირს საქციელს ეშერაში გამართული მატჩის დროს. რატომ არ იქცა მისი უხეშობა ისეთი მაღალი ინსტანციის მსჯელობის საგნად, როგორიც აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტია? რატომ არ გაითვალისწინეს კომიტეტმა და მისმა ხელმძღვანელმა ჯ. გუბაზმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება? რატომ ყურად არ იღეს გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი? რატომ დაირღვა უხეშად საფეხბურთო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი?

ეს შეკითხვები უმიზნოდ არ დაგვისვამს. ეშერის მატჩზე ექიმი არ იყო. წარმოიდგინეთ, ექიმი აფხაზეთის საფეხბურთო ჩემპიონატის არც ერთ მატჩზე რომ არ ყოფილიყო. უფრო შორს წავიდეთ. წარმოვიდგინოთ (თუმცა ამის წარმოდგენა ძნელზე ძნელია), რომ ექიმი არ ჰყავს საქართველოს პირველობის, საკავშირო ჩემპიონატების მატჩებს... დაგვერწმუნეთ, ასეთ შემთხვევაში ბაბილონის გოდოლი მოგონილი იქნებოდა, ხოლო ფეხბურთელთა რიგები საგრძნობლად შეთხელდებოდა. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია, როცა მატჩის შედეგი გააუქმა და სოხუმის თამბაქოს კომბინატის გუნდს უკანონოდ მიანიჭა ჩემპიონის წოდება, აცხადებდა: სოხუმის გუნდი გაგრელებთან შეხვედრაში დამარცხებულად იმიტომ არ გამოვაცხადეთ, რომ ჯანსაღი სპორტული და ჰუმანური პრინციპით ვხელმძღვანელობდითო. რა ვუყოთ, რომ ეშერის მატჩი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი არ ყოფილა, მსაჯ სიჭინავას თამაში მაინც უნდა დაემთავრებინაო (იგულისხმება, რომ მსაჯს პირდაპირ ადანაშაულებენ დებულების დაცვისთვის).

ისმის კითხვა: რომელ სპორტულ პრინციპსა და ჰუმანიზმზეა ლაპარაკი, როცა საფეხბურთო კანონის აშკარა ხელყოფა ხდება? რომელ სპორტულ პრინციპსა და ჰუმანიზმზე შეიძლება ლაპარაკი, როცა საქმე ეხება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას? ასეთი სპორტული პრინციპი და ჰუმანიზმი არავის სჭირდება. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კანონი კანონია!

— ფეხბურთი ბალეტი არ არის!, — გაიძახიან სპორტის ამ სახეობის „თავგამოდებული“ გულშემატკივრები.

— ფეხბურთი ბალეტი არ არის, მაგრამ არც გლადიატორების ბრძოლა გახლავთ, — უპასუხებენ მათ „ზომიერი“ ქომაგები. მკითხველისთვის დღესავით ნათელი უნდა იყოს, რომელი მხარეა მართალი.

ფეხბურთი ჰუმანური სპორტია. ფეხბურთი უყვართ მეგენახეებსა და მეფოლადეებს, მეცნიერებსა და მხატვრებს, ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებს — ყველას, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მწვანე მინდორზე გათამაშებული წარმტაცი „სპექტაკლი“. ფეხბურთელებს გაქვთ გოლები, მაგრამ სამწუხაროდ, ფიცხელი ბატალიების დროს არცთუ იშვიათად „იმტვრევიან“. მათ სჭირდებათ თეთრხალათიანი ადამიანი, რომელიც დაუყოვნებლივ უმკურნალებს დაშავებულ სპორტსმენს.

დიახ, ფეხბურთი ბალეტი არ არის, მაგრამ მას მაინც სჭირდება ექიმები. წარმოიდგინეთ, ექიმები სჭირდებათ საბალეტო დასის წევრებსაც კი...

აი, რატომ შეიტანა თავის დროზე კანონმდებელმა საფეხბურთო კოდექსში ანბანური ჭეშმარიტება, რომელიც ღაღადებს... ამის შესახებ უკვე საკმარისად ვილაპარაკეთ.

ა. გოგელია,
თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ).

სოხუმი.

P. S. ჩვენ შეგვეძლო წერილისთვის უფრო მწვავე ტონი მიგვეცა, მით უმეტეს, რომ მასალები ამის საშუალებას იძლევა. მაგრამ არ გვინდა საკითხი გავამძაფროთ. ერთი კია, აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა და ფეხბურთის ფედერაციამ კვლავ უნდა იმსჯელოთ ამ საკითხზე და ჩემპიონობა გადასცენ გაგრის „სპარტაკის“ გუნდს. სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს!

ლიდერებს გაუჭირდათ

ლენინგრადი, 14 თებერვალი. კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილენი დღეს ისვენებენ. გუშინ კი გაიმართა ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი რიგის ტტტ-სა და ვილნიუსის „კიბირკშტისს“ შორის. პირველი ტაიმი რიგელებმა 2 ქულის უპირატესობით მოიგეს — 27:25. ბრძოლა შესვენების შემდეგაც უაღრესად მძაფრი იყო. ტტტ-მ მოიპოვა მეტად ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვება — 61:57.

საჭირო ქულა აიღო კიევის „დინამომაც“. ამჯერად მან დაამარცხა მოსკოვის სპარტაკელები — 72:65. ძნელი გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადის „სპარტაკმაც“ — მხოლოდ მატჩის მიწურულში დაამარცხა მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ — 45:43.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 აპრილისთვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
ტტტ (რიგა)	19	19	0	19
„სპარტაკი“ (ლდ.)	19	17	2	17
„დინამო“ (კიევი)	19	14	5	14
„კიბირკშტისი“ (ვილნ.)	19	12	7	12
„სპარტაკი“ (მ. ოლქი)	19	12	7	12
„ურალმაში“ (სვ.)	19	8	11	8
„სერპ ი მოლოტი“ (მ.)	19	7	12	7
„ბურ.“ (ალმა-ათა)	19	7	12	7
„სპარტაკი“ (მოსკ.)	19	5	14	5
„დინამო“ (მოსკ.)	19	5	14	5
„პოლიტექნიკა“ (კაუნ.)	19	4	15	4
„ინჟდორსტროი“ (კიშ.)	19	3	16	3



ფარიკაობის მწვრთნელის პროფესია ერთ-ერთი ურთულესია. დარბაზში, ვარჯიშის დროს ფარიკაობის მასწავლებელი სპორტულ ფორმაშია გამოწყობილი, მძიმე, დაბამბული გულსაფარი აცვია, ყოველ მოძრაობას თუ ილეთს თავად ასწავლის და უჩვენებს მოსწავლეს. გინახავთ ფარიკაობის დამრიგებლის ერთიანად დაჩხვლეტილი გულსაფარი? იგი მოწაფეების იარაღის წვერითაა „დაფლეთილი“. გინახავთ, საფარიკაო ენაზე რომ ვთქვათ, მწვრთნელი ინდივიდუალური გაკვეთილის დროს? თუ გინახავთ, შეამჩნევდით, რომ მას ერთ მოსწავლეთან ვარჯიშის შემდეგ შუბლიდან წყალივით ჩამოსდის ოფლი. დიახ, ფარიკაობის მასწავლებლის როლი კარგი სპორტსმენის გამოზრდაში დიდზე დიდია. იგი, როგორც ხედავთ, მხოლოდ მითითებებით არ არის შემოფარგლული, დარბაზის ცენტრში დგას და თვითონაც „იბრძვის“. სწორედ ამიტომ ფარიკაობის მწვრთნელები უმეტესად კაცები არიან. მით უფრო სასიხარულოა, როცა ამ რთულ საქმეს ქალიც ჰკიდებს ხელს.

დიახ, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელ თამარ ტროფიმოვა-დარასელიას აქვს საამაყო. იგი აგერ უკვე 15 წელზე მეტია ემსახურება საყვარელ საქმეს და, უნდა ითქვას, ჩინებულადაც. სწორედ მის საფარიკაო ჭურაში გამოიწვრთნენ ფარიკაობის ოსტატები ნ. ჩიტიშვილი, ზ. ცქიტიშვილი, რ. დეკიძე, დ. ჩიქოვანი, დ. ბუგიანიშვილი, ა. აფციაური, დ. გოგნიაშვილი...

თამარ მასწავლებელი დღესაც უანგაროდ ემსახურება თავის საყვარელ საქმეს.

ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა გადაიღო, თქვენ ხედავთ თ. ტროფიმოვა-დარასელიას ერთ-ერთი წვრთნის დროს.

ა. გურული.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ-72

● **კიევი**, 14 აპრილი. დღეს აქ დაიწყო ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის თამაშები. პირველი დღის მატჩების შედეგები ასეთია: „ლუჩი“ (მოსკოვი) — „ტექნოლოგი“ (მინსკი) 23:11 (12:5), „სპარტაკი“ (ბაკო) — „კალინინეცი“ (სვერდლოვსკი) 13:12 (11:5), „სპარტაკი“ (კიევი) — „უალგირისი“ (კაუნასი) 17:9 (6:5).

● **რაბათი**, 14 აპრილი. მაროკოში მიმდინარე მრავალდღიანი ველოსიპედისტური ლიდერობენ. პირად ჩათვლაში დაწინაურდა ფრანგი ეკა ესკალასანი (11:41.15). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესონი არიან ომსკელი გ. კონსტანტინოვი და ნალჩიკელი ბ. შუხოვი. კომნატოვი IV ადგილზეა, შუხოვი — V. აღსანიშნავია ისიც, რომ მესამე ეტაპის 138-კილომეტრიან ტრასაზე (რაბათი — მეკნესი) გამარჯვება მოიპოვა კომნატოვმა — 3:38.36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას გაღანყვეტს ეიკვე?

ჰაგიდან იტყობინებიან, რომ ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ბ. სპასკი — რ. ფიშერის მატჩის იუგოსლავიელმა ორგანიზატორებმა საბოლოოდ უარი თქვეს ბელგრადში ორთაბრძოლის პირველი ნახევრის ჩატარებაზე. ამის გამო თავისთავად მოიხსნა რეიკიავიკში მატჩის მეორე ნახევრის გამართვის შესაძლებლობა.

რა მოხდა? აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციამ გაურკვეველი პასუხი გაგზავნა ფიდე-ს ულტიმატუმზე, მას რომ გაეგზავნა, ფიშერის დამატებითი ფინანსური მოთხოვნის გამო. წერდნენ, ფიშერი მატჩს ითამაშებსო, მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი ორთაბრძოლის ფინანსურ მხარეზე. მაშინ მატჩის იუგოსლავიელმა ორგანიზატორებმა ფიდე-ს მოსთხოვეს დამატებითი გარანტიები, რომ მატჩის ჩაშლის შემთხვევაში იგი აანაზღაურებდა გაწეულ ხარჯებს. თავის მხრივ ფიდე-მ სსრ კავშირისა და აშშ-ს ფედერაციებს 35-35 ათას დოლარის შეტანა მოსთხოვა იმის საგარანტიოდ, რომ ამსტერდამში 20 მარტს დადებულ შეთანხმებას დაიცავდნენ. საბჭოთა ჭადრაკის მესვეურებმა მყისვე გაგზავნეს დასტური. ორი დღის დაგვიანებით მიღებული აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციის პასუხი კი უარეყოფითი იყო. ფიდე-მ კვლავ მიმართა ამერიკელებს და პასუხისთვის ვადა 13 აპრილამდე გაუგრძელა. აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციამ გაგზავნა დეპეშა რომლითაც ამერიკელები ახალ მოლაპარაკებას მოითხოვდნენ. იუგოსლავიელებმა პასუხად განაცხადეს: ახლა კიდეც რომ მოვიდეს დასტური, მატჩის მოწყობას ტექნიკური მიზეზებით ვერ მოვასწრებთო. სხვათა შორის, იუგოსლავიელები აპირებდნენ ახალი კონსტრუქციის, რამდენიმე მილიონ დინარად ღირებული ელექტრო-სადემონსტრაციო დაფის დადგმას, რომლის მონტაჟსაც სამი თვე სჭირდება.

საოცარია: ფიშერმა თავად დაასახელა ბელგრადი, ვერე თვითონვე გახდა ამ ქალაქში თამაშის ჩაშლის ინიციატორი.

ფიდე-ს სამდივნო საგონებელშია. პრეზიდენტი მ. ეივე ამჟამად ავსტრალიაშია, სადაც 1 მაისამდე უნდა დარჩეს. ავსტრალიამდე იგი მოსკოვში იყო და საკავშირო ოლიმპიადის გახსნას დაესწრო, შემდეგ კი ჭადრაკის პროპაგანდის მიზნით იაპონიასა და ფილიპინებს ეწვია. ერთი სიტყვით, საბოლოო სიტყვა ეიკვემ უნდა თქვას.

მკაცრი, მაგრამ სამართლიანი

ეს მოხდა 1949 წელს XVII საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ნახევარფინალში. ოსტატმა ი. პოგრებისკიმ (კიევი), რომელიც ა. ებრალიძეს თეორიით ეთამაშებოდა, მსაჯი მოიწვია და უთხრა:



— ამ პოზიციაში, ჩემი 117-ე სვლის მერე რომ შეიქმნა, ყაიმს მოვითხოვ.

— რა უფლებით?

— ჯერ ერთი, უკანასკნელი 50 სვლის მანძილზე არც ერთი პაიკი, არც ერთი ფიგურა არ მოგვიკლავს; მეორე, ეს ტექნიკური ენდშპილი ჩემმა მეტოქემ 50 სვლის მანძილზე ვერ მოიგო. კოდექსის მიხედვით ასეთ შემთხვევებში პარტია ყაიმით დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, — უპასუხა კიეველმა ოსტატმა.

შეამოწმეს პარტიის ჩანაწერი, სიმართლე დადასტურდა და პოგრებისკის თხოვნა დაკმაყოფილეს.

ვერე არჩილი სინანულით ამბობდა:

— მკაცრია ჩვენი კანონები. ბევრი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ავაგე ფილიდორის პოზიცია, რომელსაც ფორსირებულად ვიგებდი, მაგრამ შაგრენის ტყავივით შემომაწა ხელში ტექნიკური ენდშპილისთვის განკუთვნილი 50 სვლა.

დიახ, მკაცრი, მაგრამ სამართლიანია საჭადრაკო კოდექსის მოთხოვნები. ვინც ფხიზლად და კარგად თამაშობს ტექნიკურ ენდშპილს ეს კანონები ვერაფერს დააკლებს.

აი, როგორ იგებდა ამ ენდშპილს ქართველი ოსტატი: 117. ... ეb7 118. ეh6 ეb3 119. ეh4 კf3 120. ეf4 კc6 121. ეf5+ კd5 122. ეf4 ეb5+ 123. მეa4 ეb8 124. მეa3 ეb3+ 125. მეa4 ეe3 126. მეa5 კe4 127. მეa4 კc6+ 128. მეa5 ეa3+ შამათით.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ ყველა ტექნიკური ენდშპილის (შამათი ლაზიერით, ეტლით, ორი კუთი, მხედრითა და კუთი; ლაზიერი ეტლის წინააღმდეგ, ეტლი და კუ ეტლის წინააღმდეგ და ბევრი სხვ.) მოგებისთვის 50 სვლა საკმარისია. სწორედ ამიტომ არის საჭირო ყველა ტექნიკური ენდშპილის შესწავლა, დაოსტატება.

არსებობს ყაიმის ასეთი კანონიც: თუ 50 სვლის მანძილზე არც ერთი პაიკი ადგილიდან არ დაძრულა, ესეიგი, პაიკთა პოზიცია არ შეცვლილა; ერთ-ერთ მეტოქეს შეუძლია ყაიმი მოითხოვოს.

კანონები ყველა მოჭადრაკემ იცის და ცდილობს გამოიყენოს ისინი, თუ მას ხსნა მოჰყვება. გაიხსენეთ პეტროსიან — ფიშერის შარშანდელი მატჩის III პარტია.



აქ პეტროსიანს 29. ... ედ2-ით შეეძლო პაიკის მოგება. მაგრამ ცაატნოტში ასე განაგრძო: 29. ... მფh7 30. ლe2 ლe5 31. ლh5 ლf6 32. ლe2 ეe5 33. ლd3 ედ5?

ამ დროს დარბაზი ახმაურდა. ფიშერმა მთავარ მსაჯს, დიდოსტატ ლ. შმიდს (გფრ) უსმო და უთხრა:

— ახლა ლაზიერით e2-ზე ვითამაშებ და ეს პოზიცია მესამედ გამეორდება. ყაიმს მოვითხოვ!

გერმანელმა დიდოსტატმა შეამოწმა ამერიკელი მოჭადრაკის განცხადება. დარწმუნდა, რომ ეს პოზიცია ჯერ-ველად თეორიებს 30-ე სვლის მერე შეიქმნა, მეორედ — 32-ე სვლის შემდეგ. ამიტომ ფიშერის მოთხოვნა სამართლიანი იყო. პარტია ყაიმით დამთავრდა. პეტროსიანს რომ 33. ... b5! ეთამაშა, მოგების რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ პოზიციის სამჯერ გამეორება ვერ შენიშნა.

კოდექსში წერია: თუ ერთი და იგივე პოზიცია სამჯერ გამეორდა, სულ ერთია, ზედიზედ თუ სხვადასხვა დროს, მოჭადრაკეს შეუძლია ყაიმი მოითხოვოს. ფიშერიც ასე მოიქცა.

წესების სიმკაცრეს ყველაზე მეტად რივითი მოყვარულები უჩივიან. რა თქმა უნდა, უპირატესად ისინი, ვინც ან არ იცის, ანდა არ სურს დავმორჩილოს კანონებს. არცოდნა ხშირად წყენის მიზეზი გამხდარა.

განვიხილოთ თამაშის ორი მარტივი წესი, რომლებიც ხშირად გაუგებრობას იწვევს.

როქის გაკეთებას თითქოს რა უნდა, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ იგი მეფით უნდა დავიწყოთ. ხელი პირველად მას უნდა მოვკიდოთ (ვფიქრობთ, ყველამ იცის, რომ როქი არ შეიძლება გაკეთდეს ქიშის დროს, არც იმ მხარეს, სადაც მეფით გადასასვლელი თუნდაც ერთი უჯრა მოპირდაპირის ფიგურის კონტროლის ქვეშაა, და არც იმ შემთხვევაში, თუ მეფე ან ეტლი ადგილიდან დაძრულია). თუ ხელი ჯერ ეტლს მოჰკიდეთ, მაშინ როქს ვეღარ გააკეთებთ! ამ ეტლითან უნდა ითამაშოთ. ამიტომ ზოგიერთი როქს ორი ხელით აკეთებს.

ბევრი აღელვებულა, როცა მეტოქეს ფიგურისთვის ხელი უხლია და იმით აღარ უთამაშია. როგორია ამ შემთხვევაში კოდექსის მოთხოვნა? იმ ფიგურით, რომელსაც ხელს მოკიდებთ, აუცილებლად უნდა ითამაშოთ, თუნდაც იგი თქვენთვის საზიანო იყოს. სვლა გაკეთებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ფიგურას არჩეულ უჯრაზე დასვამთ და იქს გაუშვებთ.

არსებობს ასეთი წესიც: თუ ხელი მოკიდეთ მეტოქის ფიგურას ისე, რომ წინასწარ არ გითქვამთ „ვასწორებ", მაშინ ვალდებული ხართ აიყვანოთ ეს ფიგურა. ანდა როცა მეტოქე ქიმს გიცხადებთ და თქვენ სხვა სვლას აკეთებთ (ქიშს ვერ ამჩნევთ), მსაჯი ან მეტოქე შეცდომაზე რომ მიგითითებთ, მაშინ იმავე ფიგურით უნდა დაიცვათ თავი ქიშისგან, თუნდაც ეს სელა საზარალო იყოს თქვენთვის. თუ ეს ფიგურა ქიშისგან ვერ იცავს, მაშინ სხვა ფიგურით შეიძლება თამაში.

კანონი მკაცრია. მაგრამ მისი ცოდნა ხელს უწყობს სამართლიან, რაინდულ ბრძოლას. სწორედ იმას, რისთვისაც ჭადრაკს პატივს ვცემთ.

თ. გიორგაძე.

კოროშინაძე თბილისის ჩემპიონია

თბილისის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. I. ლ. კოროშინაძე — 3,5 ქულა, II-III. ე. ბაშინურიძე, ნ. ხუბულური — 3-3, IV-V. დ. ქობალია, მ. გაგლოევა — 2,5-2,5, VI. ვ. დანელია — 0,5.

დედაქალაქის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატს მუდამ მატებდა მიმზიდველობას ცნობილი ოსტატებისა და ახალბედების ბრძოლა. აჭარარად ტრადიცია დაირღვა: შეჯიბრებაში არც ერთი ოსტატი არ მონაწილეობდა. ამიტომ ჩემპიონობის მაძიებელთა ჭიდილი ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მიღმა დარჩა. საქართველოს პირველობის ფინალშიც ამ ტურნირიდან მხოლოდ პირველ ოთხ ადგილზე გასულები არიან მიწვეული.

სტარტზე 28 მოჭადრაკე გამოვიდა. მათ შვეიცარიული სისტემით (7 ტური) გამართულ შეჯიბრებაში ფინალური ტურნირის 6 საგზურისთვის იბრძოლეს. ფინალი უინტერესო არ იყო, თუმცა შეხვედრების უმეტესობა ყაიმით დასრულდა.

ახალი ჩემპიონი ლალი კოროშინაძე საკმაოდ გამოცდილი მოჭადრაკეა. სოფლის მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატში მას ბევრჯერ უსახელებია თავი. ლალი ამჯერადაც მონდომებით იბრძოდა. მის აქტივშია ორი მოგება (გაგლოევა, დანელია) და სამი ყაიმი.

თელაველი ბაშინურიძე, რომელიც ახლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს, პერსპექტიული მოჭადრაკეა. მას არც ნებისყოფა აკლია, მაგრამ ფინალურ ტურნირში მხოლოდ ერთი (გაგლოევა) შეხვედრა მოიგო, დანარჩენები კი ყაიმით დასრულდა. კოეფიციენტთა ცხრილით ბაშინურიძემ ხუბულურს გაუსწრო.

უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ნინო ხუბულური გამოცდილი მებრძოლია. მას საქართველოს ქალთა V საერთაშორისო ტურნირშიც უთამაშია, მაგრამ ახლა ერთი პარტიის (დანელიასთან) მეტი ვერ მოიგო. მის თამაშს აშკარად ეტყობოდა პრაქტიკის ნაკლებობა (1970 წლიდან არსად უთამაშია).

დედაქალაქის ჩემპიონატმა ცხადყო, რომ ნიჭიერი, ახალგაზრდა მოჭადრაკეები გვყავს. სათანადო მეცადინეობით მათგან ახალი ოსტატების მომზადება შეიძლება.

თ. ნინოშვილი.

კრიხელი — საერთაშორისო ოსტატი

ფიდე-ს საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო კომისიის XIV სხდომაზე „ფიდე-ს ალბომებში" (აქ იბეჭდება მსოფლიოში საუკეთესო კომპოზიციო ნამუშევრები) შეტანილი თვალსაჩინო ნაწარმოებებისთვის სხვა საბჭოთა კომპოზიტორებთან ერთად საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა იოსებ კრიხელს (გორი). გორელმა კომპოზიტორმა დიდი აღიარება მოიპოვა კომპოზიციის ყველა ჟანრში. კრიხელი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია და მუშაობს გორში მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ორმა გაიყო

თბილისში, კიროვის სახელობის პარკის საჭადრაკო კლუბში ამას წინათ დამთავრდა უნივერსიტეტის ლიგა ჩემპიონატი ჭადრაკში. I-II ადგილები 10,5-10,5 ქულით გაიყვეს ოსტატებმა თ. კიკინმა და ა. ბოკუჩავამ. III ადგილზეა ოსტატი ე. უბილავა (10). შემდეგ არიან: ც. კახაბრიშვილი, დ. ჯაფარიძე, ს. კიკილაშვილი — 8-8, ა. ჯღარკავა, მ. აივაზიშვილი — 7-7, ვ. პაპიაშვილი, ზ. ცინცაძე — 5-5, კ. ჩიგოგიძე, დ. ყორუოლიანი, შ. მელქიძე — 2-2, თ. გვარჯალაძე — 1.

ჩემპიონატმა დიდი ინტერესი გამოიწვია. კარგად ითამაშეს ცნობილმა ოსტატებმა და ოსტატობის კანდიდატებმა.

გულშემატკივართა დიდი მოწონება დაიმსახურა ერთადერთი მონაწილე ქალის ციცინო კახაბრიშვილის თამაშმა, რომელმაც ვაჟთა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. ეს წარმატება ციცინოს დიდ შესაძლებლობაზე მეტყველებს.

პირველთანრიგოსნებიდან კარგად ითამაშეს დ. ჯაფარიძემ და ა. ჯღარკავამ. უფრო მეტი იყო მოსალოდნელი კ. ჩიგოგიძისა და მ. აივაზიშვილისგან.

დასასრულს საჭიროა ითქვას, რომ დღემდე უნივერსიტეტს — დიდი საჭადრაკო ტრადიციების მქონე უმაღლეს სასწავლებელს — ერთი საჭადრაკო ოთახიც კი არა აქვს, რაც სტუდენტთა შორის ამ ბრძნული თამაშის გავრცელებას საგრძნობლად აფერხებს.

გ. ჯღარკავა,
პირველობის მსაჯი.

ამოცანა

გ. კაკაბაძე
(თბილისი)



შამათი 3 სვლაში

რვა რეკორდი ერთ საღამოს!

ტალინი, 14 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ ტარდება საკავშირო ჩემპიონატი, სადაც ქვემძიმე წონის ათლეტთა ასპარეზობა სამი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. სამჭიდში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, შახტელი დ. რიგერტის მაჩვენებელია 555 კგ (185+165+205), რაც 2,5 კგ-ით სჯობს მისსავე უწინდელ მსოფლიო რეკორდს. მსოფლიოს ახალი რეკორდებია, აგრეთვე, რიგერტის მაჩვენებლები ატაცსა (165,5 კგ) და აკვრაში, როცა ბოლო მოძრაობის მეოთხე, დამატებით ცდაზე მან 210 კგ აჩვენა. სამჭიდში II ადგილზე გავიდა ვოროშილოვგრადელი ა. კიდიაევი — 537,5 კგ, ხოლო III — ხაბაროვსკელი ს. ტერეხოვი — 522,5.

საღამოს ფიცარნაგზე გამოვიდნენ მძიმე წონის ძალოსნები და, როგორც იტყვიან, ნამდვილი რეკორდების წვიმაც დაიწყო. რამდენიმე წუთის მანძილზე ორჯერ გაუმჯობესდა მსოფლიო რეკორდი აჭიმვაში. ჯერ ტალინელმა ი. ტალტსმა 207,5 კგ აჩვენა, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონმა, მოსკოველმა ი. კოზინმა 208 კგ დაძლია. ეს შედეგი 1,5 კგ-ით სჯობს ევროპის ჩემპიონის, მოსკოველი ვ. იაკუბოვსკის მიღწევას.

ორჯერ გაუმჯობესდა მსოფლიო რეკორდი ატაცში, ოღონდ ამჯერად ორივე მიღწევა ერთ სპორტსმენს ეკუთვნის. ეს იყო 25 წლის ლენინგრადელი პ. პერვუშინი, რომელმაც ჯერ 173 კგ აიტაცა, შემდეგ კი 175. წინანდელი რეკორდიც მას ეკუთვნოდა და 171 კგ-ს უდრიდა.

ათლეტებმა გული არ დასწყვიტეს მაყურებლებს აკვრაში ასპარეზობის დროსაც. ჯერ პერვუშინმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი — 218,5 კგ, შემდეგ კი ტალტსმა 220 კგ აჩვენა. მაგრამ მეოთხე დამატებით ცდაზე კვლავ დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი პერვუშინმა, როცა 220,5 კგ დაძლია. შესანიშნავი ესტონელი ძალოსნის, ტალტსის მაჩვენებელი სამჭიდში — 587,5 კგ (207,5+160+220) მსოფლიოს ახალი რეკორდია და მისსავე ძველ მიღწევას 2,5 კგ-ით სჯობს. II ადგილზე გავიდა პერვუშინი — 577,5 კგ, ხოლო III — ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, ხაბაროვსკელი ვ. გოლოვანოვი — 565.

კოზინი და იაკუბოვსკი ატაცში შეუფასებელნი დარჩნენ, რის გამოც შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

სხვალ ასპარეზობაში ჩაებმებიან. ზემძიმე წონის ათლეტები, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ვ. ალექსეევი. ამით საკავშირო ჩემპიონატიც დამთავრდება.

ეს და-ძმა გეგეჭკორის რაიონის სოფ. ნახარებავოს 8-წლიანი სკოლის მოსწავლეები, მერვეკლასელი ნანა და მეექვსეკლასელი მამუკა სულავები არიან. ამას წინათ მათ თავი ისახელეს რაიონის მოსწავლეთა საჭადრაკო ჩემპიონატში, რომელშიც 50-მდე ნორჩი მონაწილეობდა. მამუკამ ჭაბუკთა შორის ჩემპიონის სახელი დაიპყრო, ნანამ კი გოგონებში II ადგილი დაიკავა (I ადგილზეა გეგეჭკორის სკოლა-ინტერნატის მოსწავლე დ. ზარქუა).

და-ძმა სულავებმა თავიანთ სკოლას გუნდური ჩემპიონის სახელიც მოუტანეს.

ჯ. გვალია,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.

გ. ჯაყელის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილის უმაღლეს საფეხურზე

PRAG 72

პრაღა, 15 აპრილი. ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „დიდი სამეულის“ წარმომადგენლები — სსრ კავშირისა და შვეიცის ნაკრები კოლექტივები. ორივე გუნდი მოედანზე გამარჯვების მტკიცე რწმენით გამოვიდა. საბჭოთა ჰოკეისტებისთვის წარმატება ლიდერის პოზიციის განმტკიცებას ნიშნავდა, შვეიცის ნაკრებს კი იგი უმაღლეს ჯილდოზე ფიქრის რეალურ საშუალებას მისცემდა.

მაგრამ უკვე პირველსავე წუთებზე გახდა ცხადი, რომ შვეიცის ნაკრებს მიზნის მისაღწევად არც ოსტატობა ეყოფოდა და არც საბრძოლო სულისკვეთება. მსოფლიო ჩემპიონის თავბრუდამსვევმა იერიშებმა დიდი ხნით მიაჯაჭვა მეტოქე თავის საჯარიმო მოედანს. იმ ეპიზოდურ კონტრშეტევებს კი, რასაც შვედი ჰოკეისტები ასე თუ ისე მაინც ახერხებდნენ, აკლდა დამაჯერებლობა და, რაც მთავარია, სიმწვავე.

ანგარიში მე-2 წუთზე გახსნა მიხაილოვმა. სულ მალე პეტროვმა და ვიკულოვმა კიდევ ორჯერ აიღეს აბრაჰამსონის კარი. ანგარიში 3:0 თავისთავად წარმატების რეალურ გარანტიას იძლეოდა, მაგრამ საბჭოთა ჰოკეისტები განაგრძობდნენ იერიშებს და პალმკვისტის ერთადერთ გოლს პირველ პერიოდში ვიკულოვის ოსტატური დარტყმით უპასუხეს.

შვედებმა მდგომარეობის გამოსწორება II პერიოდში სცადეს, მაგრამ ამ დღეს, ისინი, როგორც ჩანს, განწირული იყვნენ. საბჭოთა ჰოკეისტები კი პირიქით, თამაშობდნენ მსუბუქად, დაჯერებულად და მთელი ეზარტით. ეს პერიოდი მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო ანგარიშით 3:1. ჯერ ბლინოვმა გაიტანა მოულოდნელი გოლი, შემდეგ პეტროვმა ლამაზად დასრულა პარტნიორების მრავალსვლიანი კომბინაცია. პალმკვისტმა ერთი საპასუხო შაიბა გაიტანა, რასაც ხუსტი სროლით უპასუხა ციგანკოვმა.

III პერიოდში შვედები შეურიგდნენ მარცხს და, ვინაიდან გამაჯანსაღების თავი აღარ ჰქონდათ, კიდევ ოთხჯერ დაიწყეს თამაში ცენტრიდან — 11:2. მსოფლიო ჩემპიონი, როგორც ჩანს, არ აპირებს თავისი მაღალი ტიტულის დათმობას.

ერთი საათით ადრე კი დამთავრდა მეორე ლიდერის — ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მატჩი ფინეთის ჰოკეისტებთან. ტურნირის მასპინძლებმა ერთობ ძნელი გამარჯვება მოიპოვეს — 5:3 (1:1, 2:1, 2:1).

რა შეიძლება ითქვას პირველი წრის შედეგებზე? მძლავრმა ფინეთმა საბჭოთა გუნდი სატურნირო ცხრილის უმაღლეს საფეხურზე დააყენა. ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან გამოუცდელი თვალისთვისაც ადვილი შესამჩნევია, რომ ჩემპიონი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. საბჭოთა გუნდის მთავარმა მეტოქემ — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ტურნირი დამაჯერებლად დაიწყო, მაგრამ ნელ-ნელ აშკარად დაიღალა. ბოლო მატჩებს ჩეხოსლოვაკიელები მთელი დატვირთვით ატარებენ და დიდის გაჭირვებით აღწევენ წარმატებას. ასლა ყველაფერი იმასეა დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა ისინი ძალების მობილიზებას. მეორე წრემ შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს პრიზიორთა პოზიციებში.

I წრის საგოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	5	4	1	0	45—9	9
ჩეხოსლოვაკია	5	4	1	0	39—9	9
შვეცია	5	3	0	2	27—17	6
ფინეთი	5	1	0	4	16—25	2
გფრ	5	1	0	4	12—40	2
შვეიცარია	5	1	0	4	10—49	2

რეკორდები ერფურტში

ერფურტში, სადაც გდრ-ისა და სსრ კავშირის მოზარდ მოცურავეთა მატჩი ჩატარდა, კიდევ დამყარდა რეკორდები: ნორილსკელმა ე. ბურმენსკაიამ ორმაგი წარმატება გაიმარჯვა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში: აქაც გოგონათა და ქალთა რეკორდები გააუმჯობესა — 4.41,4. ეს შედეგი 3,1 წამით სჯობს ნოვოსიბირსკელ ტ. ზოლოტნიცკაიას მიერ მოსკოვში გდრ-ისა და სსრ კავშირის მოზრდილ მოცურავეთა მატჩში დამყარებულ ქვეყნის რეკორდს.

ჭაბუკთა ორ-ორი საკავშირო რეკორდი დაამყარეს ე. პოზდიაევმა და ი. სტარიკოვმა. პოზდიაევმა იმარჯვა 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.14,5 და 4.49,6. სტარიკოვმა კი — ბრასით 100 და 200 მეტრზე შეჯიბრებაში — 1.08,1 და 2.27,4.

სსრ კავშირის ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა კვარტეტმა (ი. ვერეიტინოვი, ი. ფილინი, პოზდიაევი და ვ. ტეტერვოვი), რომელმაც 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში 3.43,7 აჩვენა და გამარჯვებაც დაისაკუთრა.

საქართველოს ნიჩბოსანთა პირველ სტარტს — რესპუბლიკის თასის გათამაშებას — ფოთში მდინარე რიონის ცისფერი ბილიკები მასპინძლობდა. ტურნირის მიზანი სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის შემდეგ ქალაქებში გაწეული მუშაობის შეჯამება და სსრ კავშირის თასისთვის ნაკრები გუნდის დაკომპლექტება იყო.

სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთისა და მცხეთის, აგრეთვე (გუნდურ ჩათვლაში, უკონკურსოდ), ლენინგრადის სპორტსმენები. ბევრ დისტანციაზე სწორედ ლენინგრადელები წარმართავდნენ ბრძოლას.

საქართველოს ნიჩბოსანთა შორის ვერ ვიხილეთ ფოთელები ნ. ჩარაკვი, ზ. სოფერია, თ. ჩიტაია, ვ. კრატსიუკი და ნ. ლუცენკო, რომლებიც სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები არიან და მწვრთნელ გ. ჭედიასთან ერთად სპეციალური ვრაფიკით მიუნჰენის ოლიმპიადისთვის ემზადებიან.

იქნებ ესეც იყო მიზეზი, რომ ფოთელებმა, რომელთა გუნდი თითქმის მთლიანად მოზარდებით დაკომპლექტდა, სხვებს სათანადო კონკურენცია ვეღარ გაუწიეს და VI ადგილს დასჯერდნენ.

პოზიციები დათმო ქუთაისის კოლექტივმაც, თუმცა ამ ქალაქის ნაკრებს შარშან ბადალი არ ჰყავდა. საქმე ისაა, რომ ნიჩბოსნები, რომლებიც ბოლო წლებში ქუთაისის ღირსებას ასე წარმატებით იცავდნენ, იქ აღზრდილი სპორტსმენები როდი იყვნენ. ამ სპორტსმენთა უმეტესობამ წლევანდლიდან სამსახურის გამო რუსთავს მიაშურა და მეტალურგთა ქალაქის ნაკრებს რესპუბლიკის თასიც მოაპოვებინა. რუსთავის ნიჩბოსნებმა 126 ქულა მოაგროვეს, II ადგილზე გასულმა თბილისის ნაკრებმა კი 123. III ადგილზე არიან მცხეთელი ნიჩბოსნები — 82 ქულა.

ამ შეჯიბრებაში ქუთაისის კოლექტივი სამი ნიჩბოსნით ჩაება და მაინგან ჩათვლა მხოლოდ ერთადგილიანი კანოეთი 1000 და 10000 მეტრზე მოასპარეზე ზ. დათიაშვილმა მიიღო, მან 1000 მეტრზე ნახევარფინალურ ტურნირში მოასპარეზე 25 სპორტსმენს შორის ყველაზე კარგი შედეგი (4.45,8) მოიპოვა, ფინალში ეს მაჩვენებელი 0,4 წამით გაუმჯობესა, მაგრამ მხოლოდ III ადგილს დასჯერდა, ვინაიდან ფინიშთან თბილისელებმა მ. კლეიმანმა (4.43,4) და გ. შახნაზარიანმა (4.44,2) მიასწრეს.

აფხაზეთის ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში V ადგილს დასჯერდა. ეს იმან გამოიწვია, რომ გუნდის ხელმძღვანელობა შეეცადა სასპარეზოდ გამოეყვანა სპორტსმენები, რომელთა ასაკი ამის უფლებას არ იძლეოდა. ასეთ სპორტსმენთა კოლეგიას აფხაზეთის ნიჩბოსანთა ეს ნაბიჯი შეუმჩნეველი არ დარჩენია და გუნდის რამდენიმე სპორტსმენის შედეგი გააუქმა.

თასი — რუსთავის ნიჩბოსნებს

როგორც აღვნიშნეთ, მოეწყო წინასწარი, ნახევარფინალური და ფინალური გაცურვები. ცხადია, სპორტსმენებმა საუკეთესო შედეგები ფინალურ შეჯიბრებაში მოიპოვეს, ამიტომ ჩვენც მხოლოდ ფინალური ტურნირის მაჩვენებლებზე ვილაპარაკებთ. ოღონდ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალები ფოთში ძირითადი ღისტანციის — 500 მეტრის გარდა პირველად ასპარეზობდნენ მათთვის უჩვეულო მანძილზე 5000 მეტრზე.

სპორტის ოსტატის ნორმატივს ვერავინ შესწვდა. ის კი არა, I თანრიგის ნორმატივიც მხოლოდ ოთხმა ნიჩბოსანმა შეასრულა: კლეიმანმა, შახნაზარიანმა (2 დისტანციაზე) და ლენინგრადელმა ნ. მალიშევამ.

ტურნირის შემდეგ შედგა საქართველოს ნაკრები 13 სპორტსმენის შემადგენლობით, რომელიც სსრ კავშირის თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება. გუნდის ხელმძღვანელობა სწორად მოიქცა, როცა გუნდში დიდი ადგილი ახალგაზრდობას დაუთმო. ეს საჭიროა სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის აქედანვე მოსამზადებლად.

გთავაზობთ ტურნირის პრიზიორთა ტექნიკურ შედეგებს: **ქალები. ბიდარა. ერთადგილიანი. 500 მ.** ნ. მალიშევა (ლენინგრადი) — 2.24,8, ლ. ბესპალოვა (რუსთავი) — 2.33,0, ტ. ბელოვა (ლენინგრადი) — 2.34,9. **5000 მ.** მალიშევა — 26.17,0, ე. გავრილოვა — 28.05,0, გ. ბახუსოვა (ყველა — ლენინგრადი) — 29.45,0. **ორადგილიანი. 500 მ.** მალიშევა — გავრილოვა — 2.14,2, მ. ვასილიევა — ბელოვა — 2.15,0, ბესპალოვა — ს. გერასიმენკო (რუსთავი) — 2.25,3. **5000 მ.** ბელოვა — ვასილიევა — 26.23,0, ვ. ტურკოვსკაია — თ. ტოლკაჩოვა (სოხუმი) — 29.12,0, მ. მარცვალაძე — ე. ციგისი (რუსთავი) — 30.24,0.

ვაჟები. ბაიდარა. ერთადგილიანი. 1000 მ. ი. კოვტუნოვი (ლენინგრადი) — 4.18,8, ა. სკოტარენკო (რუსთავი) — 4.19,0, ა. ოლენიკი (მცხეთა) — 4.21,0. **10000 მ.** კოვტუნოვი — 51.31,0, პ. ზაროლუტსკი (ფოთი) — 52.10,0, ოლენიკი — 53.22,0. **ორადგილიანი. 1000 მ.** ა. ვიშნიაკოვი — ზ. ეგუტიძე (ბათუმი) — 4.02,5, ს. ცხოვრებოვი — ნ. პიატაკოვი (თბილისი) — 4.07,0, სკოტარენკო — ვ. ტრეტიაკოვი (რუსთავი) — 4.08,3. **10000 მ.** ცხოვრებოვი — პიატაკოვი — 48.31,0, ვ. მარკატუნი — ნ. ბოიარინოვი (რუსთავი) — 48.46,0, ვიშნიაკოვი — ეგუტიძე — 48.50,0. **კაცნი. ერთადგილიანი. 1000 მ.** მ. კლეიმანი — 4.43,4, გ. შახნაზარიანი (ორივე — თბილისი) — 4.44,2, ზ. დათიაშვილი (ქუთაისი) — 4.45,4. **10000 მ.** შახნაზარიანი — 54.20,0, კლეიმანი — 55.44,0, დათიაშვილი — 56.16,0. **ორადგილიანი. 1000 მ.** კლეიმანი — შახნაზარიანი (თბილისი) — 4.30,8, ი. მიქაძე — ს. დოლდირინი (რუსთავი) — 4.37,0, ც. და დ. ბიცზელები (სოხუმი) — 4.44,0. **10000 მ.** ბიცზელები — 52.45,0, ვ. ფიოდოროვი — ვ. პეტროსიანი (თბილისი) — 53.44,0, ნ. ნიკიფოროვი — გ. ხმელიოვი (რუსთავი) — 53.54,0.

ლ. ხეცურიანი,
შეჯიბრების მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

ჟვალი ფიზკულტურაზე ბოლოვითაზეზე

იქნებ ამ სურათმა...

... მიმდინარეობდა დიდი სამამულო ომი. საბჭოთა ხალხი ვმირულად ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს. მისი საუკეთესო შვილები მკერდით იცავდნენ სამშობლოს ვერაგი მტრის თავდასხმისაგან.

ამ მძიმე დღეებშიც საქართველოში არ წყდებოდა სპორტული ცხოვრება. ახალგაზრდობა კაუდებოდა, იწრთობოდა.

1943 წლის ზაფხულში სოხუმში ჩამოვიდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, რომლებმაც თავიანთ სოხუმელ თანაკლუბელებთან ჩაატარეს ამხანაგური შეხვედრა, რის შემდეგ სამახსოვროდ გადაიღეს ეს სურათი.

სოხუმი მუდამ ცნობილი იყო მაღალი კლასის მოთამაშეებით. აქ დაიწყეს დიდი საფეხბურთო გზა ა. ღოლობერიძემ, ნ. ძიაპშიპამ, ვ. მარღანიამ, ა. ტყებუჩავამ, ნ. სიმონიანმა, გ. ბონდარენკომ, გ. გრამატიკოპულომ, ვ. ბარქაიამ, გ. ოოლჩიდიმ, ძმებმა ვ. და ი. ვარდინიანებმა და სხვ.

ახლა სინანულით აღვნიშნავთ, რომ სოხუმიდან ასეთი შევიწება აღარ მოდის და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ აფხაზეთის დედაქალაქს არ გააჩნია შესაფერისი სპორტული ბაზა. აქაური „დინამოს“ სტადიონი აგებულია რამდენიმე ათეული წლის წინ და ამჟამად ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მარტო სოხუმის ბაზა არაა ასეთ მდგომარეობაში: რამდენიმე წელია გადახნულია გუდაუთის სტადიონის სათამაშო მინდორი, დრანდაში არსებული სტადიონი დათმეს ხულ სხვა დანიშნულების შენობისთვის.

იქნებ ამ სურათმა აღუძრას სურვილი მათ, ვისაც ეს ეხება, წესრიგში მოიყვანონ სოხუმის სპორტული ბაზები.

გ. პოლოსიანი.

სოხუმი.

• • •

სურათზე (მარცხნიდან): დგანან — ვ. ბერეეფნოი, ვ. ჯორბენაძე, ვ. ვარდომიადი, ბ. პაიჭაძე ა. პოლიმატიდი, გ. ჭეჯელავა, ა. მინჯია, თ. გავაშელი, ა. კიკნაძე. ბ. ფროლოვი, გ. ჭელიძე, ს. სიხარულიძე, გ. იოლჩიდი; სხედან — გ. დიხამინჯია, გ. ანთაძე, ა. ორფანიდი, პ. ბუმბერიძე, გ. გაგუა. შ. ლომინაძე, გ. ნაზარიანი, ს. შუდრა, ვ. სანაია და ვ. პანიუკოვი.

ავტორის ფოტო.

ანგარიში ევროპელმა გახსნა

წლევანდელი, ოლიმპიური წლის მსოფლიო მძლეოსნური რეკორდების „ანგარიში“ გახსნეს არა ამერიკელებმა (გასული წლების ტრადიციისამებრ), არამედ შვედმა ჩელ იზაქსონმა. თუმცა ეს მიღწევა დამყარებულია... ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ შეჯიბრებაში. ქალაქ ოსტინში, ტრადიციულ „ტექსასის ესტაფეტებში“ ეს ტანმორჩილი, ჩასკვნილი სპორტსმენი ჭოკით 551 სმ სიმაღლეს გადაევლო. ჩელი მსოფლიოში პირველი ათლეტია, რომელმაც 550 სანტიმეტრის ზღვარი გადალახა. უწინდელ მსოფლიო რეკორდს მან 2 სმ დაუმატა.

24 წლის ათლეტმა, სტოკჰოლმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ინკეათ შარმატებას მიაღწია. ახლა მის კოლექციაში შედის მსოფლიო რეკორდი სტადიონზე და უმაღლესი მიღწევა ჭოკით ხტომაში დარბაზებისთვის (545 სმ). ოლიმპიური რეკორდიც დარჩა...

იზაქსონმა ოსტინში მოპოვებული წარმატების შემდეგაც კი არ მოისურვა ლაპარაკი ოლიმპიურ ოქროს მედალზე, მაგრამ თქვა, რომ გამარჯვების იმედი აქვს. სამაგიეროდ, როცა შორეულ ამერიკაში თავისი ვაჟის ვამარჯვების ამბავი გაიგო, იზაქსონის დედამ შვილს მიუნჰენში პირველობაც უწინასწარმეტყველა. დედა ჩელის პირველი მოძღვარია მის სპორტულ გზაზე და დღემდე იშვიათადაც შემცდარა. შესანიშნავი მხტომელი ბევრ რამეს უნდა უმადლოდეს თავის „სპორტულ დედას“ — ახალგაზრდობაში ჩრდილოეთ შვეციის ჩემპიონს ნიჩბოსნობასა და ტანვარჯიშში, ქვეყნის ნაკრების წევრს.

ჭოკით ხტომაში სულ ცოტა ხნის წინ ფავორიტებად ამერიკელი მძლეოსნები ითვლებოდნენ. ისინი 35 წლის მანძილზე არ თმობდნენ მსოფლიო რეკორდს. ამ 11 წლის წინ ამერიკელებმა პირველებმა გამოიყენეს ფიბერგლასის ჭოკები.

1962 წელს ფინელმა პ. ნიკულამ აშშ-ს სპორტსმენებს მსოფლიო მიღწევა ჩამოართვა. რეკორდი მათ მალე დაიბრუნეს, მაგრამ 1970 წელს გდრ-ის სპორტსმენმა ვ. ნორდვიგმა კვლავ გაუსწრო „ჭოკის დიდოსტატებს“. მას შემდეგ მსოფლიო რეკორდი ევროპელ მძლეოსნებს ეკუთვნით, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება მუდამ აშშ-ს ჭოკით ხტომელებს რჩებათ. მართალია, მეხიკოში მაინ გამარჯვება, შეიძლება ითქვას, უფრო სიმბოლური იყო: რ. სიგრენი (აშშ), ჯ. შიპროსკი (გფრ) და ნორდვიგი 540 სმ-ზე გადახტნენ. მათ მხოლოდ ერთი ცდა ჰყოფდათ. უნდა ვიფიქროთ, რომ მიუნჰენში ამერიკელ მხტომელებს განსაკუთრებით გაუჭირდებათ თავიანთი პოზიციების დაცვა.

ვ. გუხოვცევი.

(საკლესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ხტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 02565